1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № განმარტება
1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პროექტის აღწერილობა

ქ. ბილისის, მ. თამარაშვილის ქუჩა N#13თ, (საკადასტრო კოდი: 01.10.16.004.199)
მდებარე ობიექტი.
არსებულ ნაკვეთს ჩრდილოეთით და ჩრ. აღმოსავლეთით ესაზღვრება სამეზობლო მიწის ნაკვეთები, ასევე აღმოსავლეთ ნაწილში. სამხრეთ აღმოსავლეთ, სამხ. დასავლეთ ნაწილში კი სამანქანო გზა . აღნიშნული შენობა არის **21 ართულიანი**. მიწის ქვეშ **-3.00 ნიშნულზე** დაპროექტებულია პარკინგის სივრცე. მიწის პირა **0.00** ნიშნულზე დაპროექტებულია ასევე პარკინგის სივრცე, მიმღები,დაცვის ოთახი და ხანძრის მართვის ცენტრი . **+5.10** დან **+17.40** ნიშნულის ჩათვლით დაპროექტებულია ოფისები(სქ ჯგუფი). **+17.40** ასევე დაპროექტებულია ტერასა.
+20.70 დან **+66.90** ნიშნულის ჩათვლით დაპროექტებულია ბინები მუდმივად მაცხოვრებელთათვის **(სც-2)**

კერძოდ:
შენობა ითვალისწინებს სახანძრო უსაფრთხოებისთვის საჭირო დეტალებს, პროექტის მიხედვით თითოეულ სართულს ემსახურება ლიფტი, გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე, მიწისპირა და მიწისქვეშა სართულს **4** გასასვლელი და **6** გასასვლელთან მისადგომი. მიწისპირა **0,00** ნიშნულზე დაპროექტებულია **5** გზა-კარი შენობიდან ყველა მიმართულებით გასასვლელად. ობიექტის **+70.20** ნიშნულიდან **-3.00** ნიშნულის გასასვლელამდე მისასვლელი გზა მოწყობილია შეუბოლავი გზა-კიბით გასასვლელები **0** სართულზე მიმართულია შენობის ოთხივე მხარეს.
0.00 ნიშნულიდან **-3.00** ნიშნულამდე ემსახურება გასასვლელთან მისადგომი პანდუსი(ღერძები **ა-დ**) . 0.00 ნიშნულზე (**ლ-ე**) ღერძებს შორის განთავსებულია **2** გასასვლელთან მისადგომი პანდუსი, რომელიც უკავშირდება სოფისე ფართებს. საპარკინგე სივრცე განთავსებულია შენობის **-3.00** და **0.00** ნიშნულზე (**62** სტანდარული, მათ შორის **3** ავოსადგომით შშმ პირთათვის)
შენობის ყველა სართულზე დაცულია მაქსიმალური სავალი მანძილი, ასევე აღჭურვილია სახანძრო მილდგარებით, ხმოვანი და მანათობელი განგაშის სისტემებით .

შენობის **-3.00** ნიშნული და **0.00** ნიშნული **სწ-2 ჯგუფის** სივრცე აღჭურვილია საშხეფი, მექანიკური განიავების, კვამლაღმომჩენი, სახანძრო განგაშის სისტემებით, ასევე დამატებულია ხელის ცეცხლმაქრები.

საქმიანი **ჯგუფი სქ** (**+5.10** დან **+17.40** ნიშნულის ჩათვლით) აღჭურვილია საშხეფი,მექანიკური განიავების, კვამლაღმომჩენი, სახანძრო განგაშის სისტემებით, ასევე დამატებულია ხელის ცეცხლმაქრები.

საცხოვრებელი ჯგუფი (**სც-2**) (**+20.70** დან **+66.90** ნიშნულის ჩათვლით) აღჭურვილია: მექანიკური განიავების, კვამლაღმომჩენი, სახანძრო განგაშის სისტემებით.

თავშეყრის ჯგუფი(**თვ-3**) **+17.40** აღჭურვილია: კვამლაღმომჩენი, საშხეფი და სახანძრო განგაშის სისტემებით.

თავშეყრის ჯგუფი (**თვ-2**) **0.00** ნიშნულზე სრულად აღჭურვილია: კვამლაღმომჩენი, მექანიკური განიავების, საშხეფი და სახანძრო განგაშის სისტემებით.

თავშეყრის ჯგუფი (**თვ-2**) **+2.50** ნიშნულზე სრულად აღჭურვილია: კვამლაღმომჩენი, მექანიკური განიავების, საშხეფი და სახანძრო განგაშის სისტემებით.

პროექტის მიხედვით შენობა აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს, ობიექტი გათვალისწინებული შშმ პირებისთვის, ასევე გამოყოფილია ადაპტირებული საპირფარეშოები მოთხოვნის შესაბამისად.

პროექტის მიხედვით შენობის სტრუქტურა წარმოადგენს 1 მ სისქის ფილა საძირკველზე დაფუძნებულ სტრუქტურულ ჩარჩოს, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისგან, კოჭებისგან და სართულშუა გადახურვის ფილისგან. სახურავი წარმოდგენს ბრტყელ (მინიმალური ქანობი 2%), მრავალშრიან გადახურვას რომელიც შედგება:

1. გაძლიერებული ბეტონის ფილა - 200 მმ
2. ორთქლიზოლიცია
3. მსუბუქი შემავსებელი
4. მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით - 50 მმ
5. 2 ფენა ჰიდროიზოლაცია
6. ზედაპირის დამცავი ფენა წარმოდგენილ პროექტში, საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნის შესაბამისად, შესრულებული არის დამაკმაყოფილებლად:

1)დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვები

შენობის და ნაგებობის კლასიფიცირების გამოყენებისა და დაკავებულობის მიხედვით არეგულირებს მე-3 თავი.

წარმოდგენილ პროექტში თავმოყრილია **5 სახის** დაკავებულობა:

. სასაწყობო ჯგუფი **სწ-2**: **0.00** და **-3.00** ნიშნულზე

. საქმიანი ჯგუფი(**სქ** ოფისები): **+5.10 ,+8.10, +11.10, +14.10, +17.40** ნიშნულზე.

. საქმიანი ჯგუფი(**სქ**) **0.00** ნიშნულზე.

. საცხოვრებელი ჯგუფი **სც-2**: ბინები მუდმივად მაცხოვრებელთათვის **+20.70**-დან **+66.90** ნიშნულის ჩათვლით

. თავშეყრის ჯგუფი(**თვ-2**): **+0.00** ნიშნულზე.

. თავშეყრის ჯგუფი(**თვ-3**): **+17.40** ნიშნულზე.

დაკავებულობის ფაქტორის განსაზღვრა ხდება 1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილში მოცემული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხედვით.

დაკავებულობის დატვირთვის გამოთვლისას გათვალისწინებულია ქვეთავი **1004.4**-ის მოთხოვნები, **ცხრილი 1004.1.2**, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ჯგუფების **(სწ-2, სქ,თვ-3,თვ-2, სც-2)** შეადგენს **974** დამკავებელს. საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები. დაცულია საერთო სავალი ბილიკი, თითოეული ობიექტიდან გასასვლელების რაოდენობა და მათ შორის დაშორებები.

საცხოვრებელი ჯგუფი კლასიფიცირებულია როგორც **სც-2**, რომელიც მოიცავს ბინებს მუდმივი მაცხოვრებელთათვის **+20.70**-დან **+66.90** ნიშნულის ჩათვლით. რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **18,6** მთლიანი თითო დამკავებელზე და შეადგენს **211** დამკავებელს:

თავშეყრის ჯგუფი კლასიფიცირებულია როგორც **თვ-2**
0.00 ნიშნულზე მიმღები - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **1,4** მთლიანი თითო დამკავებელზე და არსებული ობიექტის შემთხვევაში შეადგენს **56** დამკავებელს.

თავშეყრის ჯგუფი კლასიფიცირებულია როგორც **თვ-2**
+2.50 ნიშნულზე მიმღები - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **1,4** მთლიანი თითო დამკავებელზე და არსებული ობიექტის შემთხვევაში შეადგენს **41** დამკავებელს.

თავშეყრის ჯგუფი კლასიფიცირებულია როგორც **თვ-3**

+17.40 ნიშნულზე **ტერასა**- რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **4.7** მთლიანი თითო დამკავებელზე და შეადგენს **214** დამკავებელს.

სასაწყობო ჯგუფი კლასიფიცირებულია როგორც **სწ-2**, რომელიც მოიცავს ავტოსადგომს **-3.00** ნიშნულებზე - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **18.6** მთლიანი თითო დამკავებელზე და შეადგენს 73 დამკავებელს.

ავტოსადგომი **0.00** ნიშნულზე (**სწ-2**) - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **18.6** მთლიანი თითო დამკავებელზე და შეადგენს **56** დამკავებელს.

საქმიანი ჯგუფი კლასიფიცირებულია როგორც (**სქ**) .

+0.00 ნიშნულზე **დაცვის ოთახი** - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **9.3** მთლიანი თითო დამკავებელზე და არსებულ შემთხვევაში შეადგენს **1** დამკავებელს.

+0.00 ნიშნულზე **სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური ოთახი** - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **9.3** მთლიანი თითო დამკავებელზე და არსებულ შემთხვევაში შეადგენს **2** დამკავებელს.

+5.10 ნიშნულზე ოფისები - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **9.3** მთლიანი თითო დამკავებელზე და არსებული ობიექტის შემთხვევაში შეადგენს **138** დამკავებელს.

+8.10 ნიშნულზე ოფისები - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **9.3** მთლიანი თითო დამკავებელზე და არსებული ობიექტის შემთხვევაში შეადგენს **138** დამკავებელს.

+11.10 ნიშნულზე ოფისები - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **9.3** მთლიანი თითო დამკავებელზე და არსებული ობიექტის შემთხვევაში შეადგენს **138** დამკავებელს.

+14.10 ნიშნულზე ოფისები - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **9.3** მთლიანი თითო დამკავებელზე და არსებული ობიექტის შემთხვევაში შეადგენს **138** დამკავებელს.

+17.40 ნიშნულზე ოფისი - რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია **9.3** მთლიანი თითო დამკავებელზე და არსებული ობიექტის შემთხვევაში შეადგენს **25** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები. დაცულია მაქსიმალური სავალი მანძილი, თითოეული ბინიდან გასასვლელების ზომა და კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი(**45 წთ).**

2) **კონსტრუქციის ტიპები**

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით) , შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **I-A** კონსტრუქციის ტიპი. შენობის კლასიფიცირებას კონსტრუქციის ტიპების მიხედვით და შენობის სხვადასხვა ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხს არეგულირებს მე-6 თავი.

შენობის სტრუქტურას წარმოადგენს 1მ-ის სისქის ფილა საძირკველზე დაფუძნებულ სტრუქტურულ ჩარჩოს, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისგან, სართულშუა გადახურვის ფილებისგან.სახურავი წარმაოდგენს ბრტყელ (მინიმალური ქანობი 2%), მრავალშრიან გადახურვას.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები, სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები აკმაყოფილებს წესების 601 ქვეთავს, 601 ცხრილის მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი 721 ქვეთვაში აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ 1 საათს, წესების 601 ცხრილის მიხედვით I A ტიპის კონსტრუქციას ყველაგან მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი, გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილში განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილს.(იხ. ცხრილი N 1)

3) **სიმაღლეების და ფართობების სიდიდეები**

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების მე-5 თავის **503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან (I A) გამომდინარე. შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნებს.
I -A კლასის კონსტრუქციული ტიპის შენობისთვის სიმაღლე განუსაზღვრელია და არსებული შეადგენს **74.66** მ-ს, მე-5 თავის მიხედვით შენობა მიეკუთნება მაღლივ შენობას.

. დაკავებულობის ჯგუფებში სართულების და ფართობების მაქსიმალური რაოდენობა IA კლასის კონსტრუქციული ტიპისთვის შეუზღუდავია. **(იხ. ცხრილი 503**). პროექტში შემოთავაზებული ფართობები და სართულები აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

4) **გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი)** ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10** თავის შესაბამისად.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწისქვეშა სართულზე(**-3.00 ნიშნული)** განთავსებული დაკავებულობისთვის(**დ.დ73**)(**სწ-2,სქ და თვ-2**) განსაზღვრულია **4** გასასვლელის გზა-კარი, რომელიც მიემართება შენობიდან გამოსასვლელისკენ და უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას და ეზოს. გათვალისწინებულია **1021.2.4 ქვეთვის** მოთხოვნა.
მიწისპირა სართულზე(**0.00 ნიშნული)** განთავსებული დაკავებულობისთვის(**დ.დ97**)(**სწ-2,სქ და თვ-2**) განსაზღვრულია **5** გასასვლელის გზა-კარი, რომელიც მიემართება შენობიდან გამოსასვლელისკენ და უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას და ეზოს. გათვალისწინებულია
მეორე სართულზე (+**5.10 ნიშნული**) განთავსებული დაკავებულობისთვის(**დ.დ=138**)(**სქ**) გათვალისწინებულია **4** გასასვლელის გზა-კარი, რომელიც მიემართება შენობიდან გამოსასვლელისკენ და უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას, რაც სრულად აკმაყოფილებს წესების **1021 ქვეთავის** მოთხოვნებს.
მესამე სართულზე (**+8.10 ნიშნული**) განთავსებული დაკავებულობისთვის(**დ.დ=138**)(**სქ**) გათვალისწინებულია 4 გასასვლელის გზა-კარი, რომელიც მიემართება შენობიდან გამოსასვლელისკენ და უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას, რაც სრულად აკმაყოფილებს წესების **1021 ქვეთავის** მოთხოვნებს.
მეოთხე სართულზე **(+11.10 ნიშნული)** განთავსებული დაკავებულობისთვის(**დ.დ=138**)(**სქ**) გათვალისწინებულია 4 გასასვლელის გზა-კარი, რომელიც მიემართება შენობიდან გამოსასვლელისკენ და უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას, რაც სრულად აკმაყოფილებს წესების **1021 ქვეთავის** მოთხოვნებს.
მეხუთე სართული **(+14.10 ნიშნული)** განთავსებული დაკავებულობისთვის(**დ.დ=138)(სქ)** გათვალისწინებულია **4** გასასვლელის გზა-კარი, რომელიც მიემართება შენობიდან გამოსასვლელისკენ და უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას, რაც სრულად აკმაყოფილებს წესების **1021 ქვეთავის** მოთხოვნებს.
მეექვსე სართულზე **(+17.40 ნიშნული)** განთავსებული დაკავებულობისთვის(**დ.დ=241)(თვ-3 და სქ)** გათვალისწინებულია **4** გასასვლელის გზა-კარი, რომელიც მიემართება შენობიდან გამოსასვლელისკენ და უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას, რაც სრულად აკმაყოფილებს წესების **1021 ქვეთავის** მოთხოვნებს.
მეშვიდე სართულიდან(+**20.70**) -დან ოცდამეერთე(**+66.90**) სართულის ჩათვლით განთავსებული დაკავებულობისთვის- თითო სართულზე**(დ.დ=14)(სც-2)** გათვალისწინებულია **2** გასასვლელის

გზაკარი, რომელიც მიემართება შენობიდან გამოსასვლელისკენ და უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას, რაც სრულად აკმაყოფილებს წესების **1021 ქვეთავის** მოთხოვნებს.

5) **გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა გასასვლელი საშუალების ზომას არეგულირებს 1005 ქვეთავი.** გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4** ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(7,6 მმ)** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **1.10** მეტრზე მეტი სიგანის გზა-კიბე **(მინიმუმ 1.11 მეტრი)** და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. საცხოვრებელი ერთეულის ფარგლებში დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1**). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვები მინიმუმი **(1.2 მ)** სიგანის დერეფანი თითოეული სართულისთვის. გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ)** გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.83 მეტრს,** პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ **0,9 მეტრს.**

6) **მისაწვდომობის მოთხოვნა:**

მისაწვდომობა რეგილირდება მე-11 თავის მიხედვით(მისაწვდომობა). საპროექტო დოკუმენტაციაში დატანილია მისაწვდომი სვლაგეზი, რომლის საშუალებითაც უნარშეზღუდულს შეუძლია სასურველ სივრცეში გადაადგილება.

ობიექტს შესასვლელი აქვს მისაწვდომი **1105 ქვეთავის** (მისაწვდომი შესასვლელები) მიხედვით. შენობის მიწისპირა (**0.00 ნიშნულზე)** სართულზე მისაწვდომობა ურუნველყოფილია შენობაში შესასვლელი პანდუსით.

საპროექტო შენობაში **1106.1 ცხრილის** მიხედვით მოეთხოვება **3** მისაწვდომი ავტოსადგომი.

სც-2 ჯგუფის მისაწვდომი საცხოვრებლები და საძინებელი ერთეულების მოწყობა განსაზღვრულია **1107.6.1.1** ქვეთავის მიხედვით. პროექტში **სც-2** მისაწვდომი ტუალეტები ექვემდებარება მოწყობას სურვილისამებრ, მისაწვდომია ყველა სივრცე რომელიც მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.

7) **გარე კედლებისადმი მოთხოვნები**

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს. არსებულ ნაკვეთს ჩრდილოეთით და ჩრ. აღმოსავლეთით ესაზღვრება სამეზობლო მიწის ნაკვეთები, ასევე აღმოსავლეთ ნაწილში. სამხრეთ აღმოსავლეთ, სამხ. დასავლეთ ნაწილში კი სამანქანო გზა. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები წესების მოთხოვნების შესაბამისად.

„დ-ა“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 2.5მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+0.00 დან +5.10) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „დ-ა“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 3%-ია;

„დ-ა“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 2.5მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 2 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+5.10 დან +17.40) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „დ-ა“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 3.6%-ია;

„დ-ა“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 2.5მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 2 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+17.40 დან +76.20) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი დაუცველი საშხეფებით 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „დ-ა“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 8%-ია, დაუცველი საშხეფის გარეშე 2%.

„1-5“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 5.1 მეტრია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 1 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+0.00 დან +5.10) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი დაუცველი საშხეფებით 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „1-5“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 5%-ია;

„1-5“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 5.1 მეტრია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 1 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+5.10 დან +17.40) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი დაუცველი საშხეფებით 75%-ს არ უნდა აღემატებოდეს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „დ-ა“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 0%-ია;

„1-5“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 2.5მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 2 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+17.40 დან +70.20) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი დაუცველი 10%-ს არ უნდა

აღემატებოდეს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „დ-ა“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 8.7%-ია;

„5-1“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 9მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 1 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+0.00 დან +5.10) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი შეუზღუდავია, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „5-1“ ღერძებში არსებული დაუცველი ღიობების ფართობი 5%-ია;

„5-1“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 9მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 1 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+5.10 დან +17.40) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი შეუზღუდავია, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „5-1“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 0%-ია;

„5-1“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 9მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 1 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+17.40 დან +70.20) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი შეუზღუდავია, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „5-1“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 12%-ია;

„ა[1]-დ“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 9მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 1 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+0.00 დან +5.10) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი შეუზღუდავია, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „ა[1]-დ“ ღერძებში არსებული დაუცველი საშხეფებით ღიობების ფართობი 7.5%-ია;

„ა[1]-დ“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 9მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 1 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+5.10 დან +17.40) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი შეუზღუდავია, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „ა[1]-დ“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 0%-ია;

„ა[1]-დ“ ღერძებში მდებარე ფასადების კედლების ხანძარმედეგობის წითელ ხაზამდე 9მ-ზე მეტია, 602 ცხრილის მიხედვით და საპროექტო შენობის კონსტრუქციული ტიპიდან (I-A) გამომდინარე საჭიროებს 1 საათიან ხარისხის უზრუნველყოფას, გავალისწინებულია 2 სააიანი. ასევე აღნიშნულ ფასადზე (+17.40 დან +70.20) ნიშნულამდე 705.8 ცხრილის მიხედვით ღიობების ფართი შეუზღუდავია, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ღიობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია: „5-1“ ღერძებში არსებული ღიობების ფართობი 10.7%-ია;

8)სახურავის ანაწყობები

სახურავის ანაწყობებს და სახურავზედა ნაგებობები რეგულირდება მე-15 თავის მიხედვით.
სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად.
ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება I-A კონსტრუქციას.
სახურავი წარმოდგენს ბრტყელ (მინიმალური ქანობი 2%),მრავალშრიანი კონსტრუქციის გადახურვას:

- გაძლიერებული ბეტონის ფილას
- ორთქლიზოლაციას
- თბოიზოლაციას
- პემზის ფენილი ქანობისთვის
- მოჭიმვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით
- ბითუმის პრაიმერი
- ორი ფენა რულონური ტიპის ჰიდროიზოლაცია აღნიშნული კონსტრუქცია აკმაყოფილებს 1507.10 ქვეთავის მიხედვით მოთხოვნილ პირობებს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრიქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის Cკლასს (ცხრილი 1504.8) სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია1009.16 ქვეთავის მიხედვით შიგა გასასვლელი გზა- კიბით. სახურავის მთელს პერიმეტრზე მოწყობილია პარაპეტი.

9) ცეცხლმედეგობის გამმიჯნავები

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად.

პროექტში წარმოდგენილია ხუთი სახის დაკავებულობა სქ, სწ-2, სც-2 ,თვ-3 და თვ-2 ჯგუფების დაკავებულობების სახით. საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების 508.1 ქვეთავით და 508.4 ცხრილით განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები საშხეფი სისტემით აღჭურვილ შენობაში , სქ,სწ-2,თვ-3,თვ-2 და სც-2 დაკავებულობები აკმაყოფილებს მოთხოვნებს გამიჯვნასთან დაკავშირებით. ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების მოთხოვნები რეგულირდება მე-7 თავის მიხედვით. პროექტში შენობა-ნაგებობის ცეცხლმედეგი მასალები აკმაყოფილებს 703 თავის მოთხოვნებს.
კონსტრუქციული (I-A) ტიპიდან გამომდინარე 601 ცხრილის მიხედვით, მოეთხოვება ხანძარმედეგობის ხარისხის 3სთ-იანი დაცვა. სართულებზე დაკავებულობების გამიჯვნა პროექტში განსაზღვრულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი კედლით, სართულები გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ფილით რომელიც დატანილია გეგმებზე და ჭრილებზე. ცეცხლმედეგობის გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

10)ხანძრისგან დაცვის სისტემები

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან, ასევე, შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისგან დაცვისსისტემებით:

ავტოსაშხეფი სისტემა გამოყენებულია :სქ, სწ-2, თვ-3 და თვ-2 დაკავებულობებში.
კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემა :სქ, სწ-2 და თვ-3.

ხელის ცეცხლმაქრები პარკინგზე(სწ-2) და დერეფნებში (სქ ოფისებთან) 906 ქვეთავის მიხედვით.

გასასვლელი მანიშნებელი ნიშნები (ყველა სართულზე დერეფნებში და კიბის უკრედში)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წყლის რეზერუარები მოწყობილია
შენობის გარეთ მიწის დონიდან - 3.50 მეტრზე.

შენობის სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე +0.00 ნიშნულზე მოწყობილია ხანძრის მართვის ცენტრი, რომელიც დაკავშირებულია ყველა სართულთან.

11)წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილოების ანგარიში

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის შესაბამისად.
წარმოდგენილ პროექტში **სც-2** ჯგუფებიდან და დაკავებულობებიდან გამომდინარე გათვალისწინებულია წყალსადენი სისტემის
ფიქსირებული სისტემები. 7 დან 21 სართულის ჩთ. - მოეთხოვება (60ცალი) უნიტაზი,
(60ცალი) ტუალეტის ხელსაბანი. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მინიმალური მოთხოვნები გათვალისწინებულია, ასევე გათვალისწინებულია საშახაპეები (60ცალი) (იხ.
ცხრილი 1602.1 , სადაც განთავსებულია სც-2 ჯგუფი გათვალისწინებულია ერთ საცხოვრებელზე მინ. 1 ფიქსირებული მოწყობილებები საპროექტო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.
წარმოდგენილ პროექტში სქ ჯგუფებიდან და დაკავებულობებიდან გამომდინარე გათვალისწინებულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული სისტემები. 2 დან 5 სართულის ჩთ. - მოეთხოვება (20ცალი) უნიტაზი,
20ცალი) ტუალეტის ხელსაბანი. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მინიმალური მოთხოვნები გათვალისწინებულია. (იხ. ცხრილი 1602.1 , სადაც განთავსებულია სქ ჯგუფი გათვალისწინებულია მინ. 4 ფიქსირებული მოწყობილება. საპროექტო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

დასკვნა:

აღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ თბილისში თამარაშვილის N13 (იპოდრომის ტერიტორია) არქიტექტურული პროექტის დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროქტისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი : კონსტანტინე იაშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 21.01.2022





ДИПЛОМ

ЗВ № 058180

Грузинский яз.

ДИПЛОМ

ЗВ № 058180

Настоящий диплом выдан Шашвили Константину Мурмановичу в том, что он в 1977 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1982 году окончил полный курс вечернего института по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от "9" 07 1982 г. Шашвили К.М. присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси "3" 11 1983 г.

Регистрационный № 16824

Московская типография Гознака. 1980.

ჯოტე იაშვილი

1961 წელი, 7 მაისი

თბილისი, ტ.ტაბიძის ჩიხი 20 ა

ტელ: 577 156 156

არქიტექტორი

განათლება

1977-82	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

სერთიფიკატი

2013 ნოემბერი	რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის ეგიდით გამართული თბილისის რეგიონალური ფესტივალი „ხარისხი და პროფესია“. საორგანიზაციო ჯგუფის წევრი

პროფესიული გამოცდილება

2006 – დან დღემდე	შ.პ.ს. არქიტექტურის და დიზაინის კომპანიის დირექტორი (დღემდე)
1996 - დან დღემდე	შ.პ.ს. არქიტექტურული სტუდია „აი-სტუდიო21“, არქიტექტორი (დღემდე)
1997-დან დღემდე	საქარტველოს საავტომობილო ფედერაცია, ვიცე პრეზიდენტი
1989-91	
1987-90	
1982-88	„საქქალაქმშენსახპროექტი“ არქიტექტორი

განხორციელებული პროექტები

2017	საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ცენტრის ახალი პროექტი, ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე – პროექტის კონსულტატი
2016	ტ.ტაბიძე, საცხოვრებელი კომპლექსის გენ გეგმა, ავტორი
2016	არმაზის არქეოლოგიური ბაზის პროექტის ავტორი
2015-2016	ტავისუფალი ტეატრის რეკონსტრუციის პროექტის ავტორი
2014	ქართულ-ებრაული მეგობრობის მუზეუმის საგამოფენო სივრცის დაგეგმარების პროექტის მენეჯერი

2014	ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის ნაწილის გენ გეგმა, არქიტექტექტორული ჯგუფის წევრი
2011-დან დგემდე	ელიავას ბაზრობის ტერიტორიის გენ გეგმის საავტორო ჯგუფის ხელძღვანელი
2010	გელათის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი (გენგეგმის კონსულტატი)
2008	გუდაური, რამოდენიმე სასტუმროს პროექტი, ავტორი
2006	ლონდონი, ვინოპოლისის ღვინის მუზეუმი, ქართული დარბაზის პროექტის მენეჯერი
1992-2006	მცირე არქიტექტურული ფორმები და საცხოვრებელი და საოფისე ნაგებობები, ავტორი
1987	მიუსერა, სამთავრობო დასასვენებელი კომპლექსი, არქიტექტორული ჯგუფის წევრი
1982	სასტუმრო „მარჯო პოლო", არქიტექტორული ჯგუფის წევრი
1982	გუდაურის გენერალური გეგმა, არქიტექტორული ჯგუფის წევრი

კონკურსები/ჯილდოები

1989	თბილისი წმ. სამების საკათედრო ტაძარი

ენები

ქართული – მშობლიური, რუსული - თავისუფლად

პროფესიონალური პროგრამული უზრუნველყოფა

საოფისე და პროფესიული პროგრამები _AutoCad, ArchiCad.